

ოსმალთი ისტორიკოსის აჰმედ ვასიფის ცნობები საქართველოს შესახებ

აჰმედ ვასიფი XVIII ს-ის ოსმალური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი დაიბადა ბაღდადში 1738 წელს. კარგი განათლება მიიღო, ბავშვობიდანვე შეითვისა არაბული ენა და ოსმალეთის სახელმწიფო მოხელეთა წიგნსაცავს განაგებდა. ვასიფმა ბევრი იმოგზაურა და მრავალი ქვეყანა ნახა. რუსეთ-თურქეთის 1768-74 წწ. ომის დროს იგი ტყვედ ჩაეარდა. მაგრამ მალე დაიხსნა თავი და შემდეგ აქტიური მონაწილეობაც მიიღო საზავო მოლაპარაკებაში. ის აწარმოებდა აგრეთვე მიმოწერას იმპერატორ ეკატერინესა და დიდვზირს შორის, რამდენიმეჯერ გაიგზავნა საგანგებო დავალებით სტამბოლში. ვასიფმა პირადად შეადგინა 1772 წ. ბუქარესტის საზავო მოლაპარაკების ოქმი.

1783 წელს აჰმედ ვასიფმა შესცვალა ენვერი და სულთნის კარის ისტორიკოსი გახდა იგი ხუთ წელიწადს იყო ამ თანამდებობაზე, მერე კი ელჩად გაიგზავნა მადრიდში. ესპანეთიდან დაბრუნების შემდეგ ერთ ხანს ისევე სასახლეში მსახურობდა, 1791 წელს მეორედ მიიღო მონაწილეობა რუსეთ-თურქეთის საზავო მოლაპარაკებაში. მალე ვასიფი ანატოლიის ფინანსების გამგებლად გააწესეს. მერე კი მეორედ დანიშნეს სულთნის კარის ისტორიკოსად. ბოლოს მან რეის ულ-ფეენდის (სამდივანმწიგნობროს მეთაურის) თანამდებობა ეკავა. გარდაიცვალა 1806 წელს.

ვასიფს, როგორც კარის ისტორიკოსსა და სახელმწიფოს საქმეებში ჩახედულ პიროვნებას, ფართოდ მოუწვდებოდა ხელი დოკუმენტურ და ნარატულ წყაროებზე. იგი ბევრი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის თვითმხილველი და უშუალო მონაწილეც იყო, რომელთა შესახებ დაწერილებით მოგვითხრობს თავის თხზულებაში.

აჰმედ ვასიფის საისტორიო ნაწარმოებია—Mahasin-ül Asâr ve Hakayik-ül Ahbar. („მაჰსინ-ულ ასარ ვე ჰაკაიკ-ულ აჰბარ“) ორი ვრცელი ტომისაგან შედგება და 1753—1774 წწ. ისტორიას მოიცავს. პირველ ტომში გადმოცემულია 1753—1770 წლების ამბები, ხოლო მეორეში — 1770—1774 წლებისა. ეს თხზულება ფაქტიურად წარმოადგენს რეშიდის „ისტორიის“ ქრონოლოგიურ გაგრძელებას. ა. ვასიფის თხზულების ბოლო ნაწილს, მის გამგრძელებელს, კარის ისტორიკოსს ენვერს მიაწერენ¹.

¹ Fr. Bahinger. Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke. Leip- 299

თანამედროვე თურქი ისტორიკოსი ბექარ სიდჰი ქუთუქოღლუ ა. ვასიფის ისტორიის წყაროდ მიიჩნევს მისი წინამორბედი ისტორიკოსების — ჯაქობისა და ჩეშმი-ზადე მუსტაფა ჩეშიდის თხზულებებს. ქუთუქოღლუ მკვლევარად შეისწავლა ჩეშიდის ისტორია და ა. ვასიფის თხზულებების შედარების საფუძველზე დაადგინა, რომ 1766—1769 წლების ისტორია გადმოცემის დროს ა. ვასიფი ძირითადად ჩეშიდის ნაშრომს ეყრდნობა. ცნობები საქართველოს შესახებ ა. ვასიფის თხზულების სწორედ ამ ნაწილში მოიპოვება. ეს მასალა ჩვენ შევუჭერეთ ჩეშმი-ზადე ჩეშიდის ანალოგიურ ცნობებს და გამოიჩვენა, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის ა. ვასიფს მართლაც დასახელებული წყარო გამოუყენებია. იგი ზოგჯერ ამოკლებს ჩეშიდის ისტორიაში მოტანილ ცნობებს საქართველოს შესახებ. ხშირ შემთხვევაში არ ასახელებს ქართველ მთავართა და დიდებულთა სახელებს. რომელთაც ჩეშიდი იხსენიებს და სხვ. ჩეშმი-ზადე მუსტაფა ჩეშიდის ისტორიის შესწავლა შეავსებს ა. ვასიფის ცნობებს საქართველოს შესახებ.

ვასიფის თხზულების ზემოთ დასახელებული გამოკვლიდან რამდენიმე ნაწყვეტი ცალკეა გამოქვეყნებული. როგორც მკითხველი ქვემოთ დაინახავს, ა. ვასიფს საყურადღებო მასალა მოეპოვება XVIII ს-ის 60-იანი წლების საქართველოზე. ცნობები ა. ვასიფს პირველ ტომში აქვს გადმოცემული. მეორე ტომში საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი რუსეთ-თურქეთის ომები.

ვასიფის თხზულებაში აღწერილ ამბებს თარიღი თითქმის არსაფ უნის. მაგრამ სხვა წყაროების (ქართული, ოსმალური) და სპეციალურ-ლიტერატურის გათვალისწინების საფუძველზე ირკვევა, რომ ოსმალთა ისტორიკოსის ქვემოთ მოტანილი ცნობები შეეხება 1765—1767 წლების ამბებს. ვასიფის ცნობები საქართველოს შესახებ ნაწილობრივ ცნობილია ჩვენს ისტო-

zig. 1927. გვ. 336—337; *Mitsat Sırtoglu. Şehnâmenüvisler. Vakânüvisler ile Diğer Mühim Osmanlı Müverrihleri ve Esasları. II. Yeni Tarih Dergisi. Ocak, 1960. 37. გვ. 760*

* Bekir Kötkoğlu. *Müverrih Vakfın Kaynaklarından Hâkim Tarihi. İstanbul Üniversitesi Edebiyat Fakültesi Tarih Dergisi. C. V. S. 8 (გვ. 69—76); S. 9 (გვ. 91—122); S. 10 (გვ. 79—102). İstanbul, 1953—54.*

* Çeşmi-Zâde Mustafa Reşid. *Çeşmi-Zâde Tarihi. Hazırlayan Bekir Kötkoğlu. İstanbul, 1959.*

* *Relation turque de la bataille de Tchezme, extrait du Vassil Effendi. Paris. Relation de l'ambassade de Derviche Mehemmed Effendi à Peterbourg, en 1763 de l'hégire (1754), extrait des annales de l'empire Ottoman de Vassil Effendi. Paris, 1821.*

Турецкие источники об Армении, армянах и других народах Закавказья. Извлечение из турецких оригинальных текстов в переводе на армянский язык с предисловием, комментариями, терминологическим словарем и приложением. том I. Составил А. Х. Сафряян. Ереван, 1961.

В. Д. Смирнов. *Образцы произведений сирийской литературы в извлечении и отрывках. СПб. 1903. гв. 127—129. ვ. სპირნოვის მიერ გამოქვეყნებული ნაწყვეტები. როგორც თეოფან აღნიშნავს, ამდებულა ა. ვასიფის ისტორიის ქართულ გამოკვეთებულ დამატებებში (جلد)، რომლის ხელნაწერი ენის ბიბლიოთეკაში ინახება. აღნიშნულია, რომ ა. ვასიფის თხზულების ვ. სპირნოვის მიერ გამოქვეყნებული აღიარებს ჩვენთვის საინტერესო ერთი ნაწყვეტი. რომელიც ეხება რუსეთ-საქართველოს ერთობრივობის ისტორიის XVIII ს-ის მეორე ნახევარში და ქართველთა მარცხილ არ არის).*

ჩიოგრაფიაში⁸ ჰამერის ნაშრომის მიხედვით. მიუხედავად ამისა ამ ცნობითა თურქულ ტექსტისა და ქართული თარგმანის გამოქვეყნება, ვფიქრობთ გარკვეულ დაბმარებას გაუწევს XVIII ს-ის მეორე ნახევრის დასაწყისით სპ. ქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართ.

ქვემოთ მოტანილი თურქული ტექსტი ქართული თარგმანითა და სათანადო კომენტარით ხელნაწერში წაიკითხა და სასარგებლო შენიშვნები მოგვცა პროფ. აერგი ჭიჭიამ.

ჩილდარის ვალის ახსავი

ჩილდარის ეიალეთის გამგებელი ვეზირი ჰაჯი აჰმედ ფაშა წარმოშობით ახალციხელთა საგვარეულოს⁹ წარმომადგენელი იყო. მას კარგა ხანია, რაც ამ ბედნიერ წუთისოფელში ვეზირის რანგით ჩილდარის ეიალეთის ვალის თანამდებობაზე ყოფნა და მოსახლეობის საქმეების მოწესრიგება უხდებოდა. „აუცილებელი არ არის, რომ აღამიანი თუ გამდიდრდა, უსამართლობა ჩაიდინოს“. — ამ აშკარად ხათული დარიგების მოუხედავად, დროთა განმავლობაში (აღამიანს) ძალაუფლების (მეოხებით) უთვალავი ნაღდი ფულისაღმში სიხარბე და გაუმადრობა დღითიდღე აღაგზნებს და მას მისი შედეგების ნიშნით უყურადღებოს ხდის. თავისი სამოქმედო ასპარეზის გასაფართოებლად და უამრავი კონების მოსახვეჭად (მას) ფარული აზრი გაუჩნდა და ლეკთა ყაჩაღებთან კავშირი გააბა და საქართველოს ხელყოფაზე მოეთათბირა. ეს ბოროტი ზრახვა სავსებით შეესაბამებოდა ლეკთა მისწრაფებებს და თავისი არსით მათი შესაფერისი იყო. (მათ) ზემოხსენებული ვეზირი მოატყუეს. წინასწარ იმოქმედეს და სწორ გზას ააცდინეს.

რადგან საქართველოს მოსახლეობა ძველი დროიდან მოკიდებული ოსმალეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომი იყო, (ოსმალეთს) მასზე მზრუნველობა და დაცვა ევალებოდა და მისი უმიზეზოდ შევიწროება დიდებული ფადიშაჰის სურვილებს ეწინააღმდეგებოდა. ზემოხსენებულმა (ჰაჯი აჰმედ ფაშამ) მათ წინააღმდეგ გაილაშქრა ბრავალრიცხოვანი ჯარით. უამრავი ხალხი დაღუპა და დიდი ზიანი მიაყენა. მიუხედავად იმისა, რომ მას ყოველთვის აფრთხილებდნენ ამ ცუდი საქციელისათვის თავი დაენებებინა, მაინც ბევრ შეუფერებელ საქმეს სჩადიოდა და ნიადაგ მოუსვენრობის ცეცხლს აღვივებდა. ეს ცნობილი გახდა უბედნიერესი და მაღალი ხელმწიფრისათვის (ოსმალეთის სულთნისათვის). ამიტომ ჰაჯი აჰმედ ფაშა ჩილდარის ეიალეთიდან გადააყენეს და მის ადგილზე დიარბექრის უწინდელი ეალი ვეზირ იბრაჰიმ ფაშა დაინიშნა. გადაწყდა ზემოხსენებული გადაყენებული ვალისათვის რაიმე თანამდებობა მიეცათ და მას აცნობეს, რომ ანატოლიაში გადასულიყო. ის ძალაუვნებურად დაემორჩილა მაღალ ბრძანებას და იქიდან, ახალციხიდან წასასვლელად გაემზადა. რამდენიმე ხნის შემდეგ მას წასვლის მიზანი რომ აცნობეს, ერთ ღამეს საში კაცის თანხლებით ციხე მიატოვა და (წავიდა). როდესაც ეს ამბავი მისმა მაცნემ კაფუჯი-ბაში¹⁰ აბდალ მეჰმედ აღამ გაიგო, გარშემო მდებარე ადგილებში კაცები გაგზავნა, იგი დაიჭირეს, მაშინვე მოკლეს და (მისი) მოჭრილი თავი დედაქალაქში გაგზავნეს.

⁸ შ. ბურჯანაძე, ს. ლომონ I-ის მეფობის პირველი ზეჩაღდი (1752—1768 წწ.), თბილისში, ტ. 41, 1950, გვ. 71—109.

⁹ Hammer, Geschichte des Osmanischen Reiches, IV, 1836.

მოსკოვის ტომი გილანთან, დერბენდთან და ზილანთან ურთიერთობით საქართველოს გაუმეზობლდა. რადგანაც მათ შორის სარწმუნოებრივ ურთიერთობა და ბუნების შესაბამისობა არსებობდა, აშკარა მეგობრობა დაშვარდა და სიმტკიცე მოიპოვეს, შრომისადმი უპატივეცმლობას თავი დააღწიეს. რუსეთმა საქართველოს პირობა მისცა როდესაც საჭირო გახდებოდა დახმარებოდა ჯარი, ფულით და საქურვლით. მათ შორის ეს შეთანხმება დროთა განმავლობაში საიდუმლოებით იყო მოკეული. ქართველმა ხალხმა მოსკოველების არასანდო და საშიშროების მომტანი დაპირება სარწმუნოდ მიიღო და თანდათან ჩილდირის ვალიებს, ჩვეულებრივად, ყოველ წელიწადს რომ გადასახადს აძლევდნენ, ახლა ჯერ ნაკლებს უხდიდნენ. მერე გაჭიანურება დაიწყო და თანდათანობით მთლიანად შეუწყვიტეს გადახდა. საზღვრიდან მოსული მიწერ-მოწერიდან ცხადი გახდა, რომ მტრობაც გამოამქლავნეს და მორჩილების უღელი თავიდან გადაიკდეს. მოთმინებიდან რომ გამოვიდნენ ოსმალებმა მათ წინააღმდეგ დიდი ლაშქრით გაგზავნეს ტრაპიზონის ვალი ვეზირ აბდარ-რაჰმან ფაშა. ზემოხსენებული ფაშა როდესაც საქართველოში ჩავიდა, მოსახლეობა ძნელადსასვლელ მთის მწვერვალზე გაიხიზნა. მალე დიდი სიკვებები დაიჭირა და ზემოხსენებულმა ფაშამ უკან დაბრუნება გადაწყვიტა. იგი ათასი სიძნელეებითა და წვალებით ჩილდირის ვილაეთში გადავიდა ქართველების უკან დადევნებამ და ზამთრის სიციხეებში ისლამის ლაშქარი დიდ გაქირვებაში ჩააგდო და სიძნელეები შეუქმნა. ვინაიდან საჭირო იყო ხსენებულ მხარეში სრული წესრიგის დამყარება და რადგანაც კარის კაცთაგან ჩილდირის ვალი ვეზირი მასთან ფაშა იმ მხარის საქმეებს სხვაზე უფრო უკეთ იცნობდა, ერთსულოვნად გადაწყდა მისთვის სერასქერობის მიცემა მას გაეგზავნა საერასქერო სიგელი და მის ამაღლაში მყოფი ჯარი სურსათ-სანოვაგით იქნა უზრუნველყოფილი. ზემოხსენებულ ტომზე გაზაფხულზე ლაშქრობა უარყოფილ იქნა და (ამის) შესახებ მეორე სხვა მაღალ ბრძანებაში ნათლად და მოკლედ იქნა გადმოცემული.

საქართველოს სამხედროს გამგზავნა

ამას წინათ ყოველგვარი თხოვნა შეუსრულეს ჩილდირის ვალს ვეზირ მასთან ფაშას, რომელმაც იცხარა ზოგიერთი თანამდებობის პირის დახმარებით საქართველოში წესრიგის დამყარება. სიგელი სერასქერს რომ გაუგზავნეს, ამაზე ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი. მის ამაღლაში მომზადებულ ქვეითთა და ცხენოსანთა ჯარი ტრაპიზონისა და სივასის ვილაეთების ქართან ერთად ჩილდირიდან დაიძრა და საქართველოს ფარგლებში გამარჯვების დროსა ააფრიალეს. საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე გურიელის მხარისაკენ გაემართნენ. ერთი-ორი ციხის მოსახლეობამ სამართლიანობა და დანაშაულის პატიება ითხოვა. მათი ეს თხოვნა შეწყნარებულ იქნა. გამარჯვებულთა გადაწყვეტილებით დამორჩილები გამო სიცოცხლე შეუნარჩუნეს. მათმა გამგებელმა გაჭყვივით უშეულა თავს. მის აღვილას მისი უმცროსი ძმა დანიშნეს. ზემოხსენებული ციხეების მოძიხნავე აღვილას მისი უმცროსი ძმა დანიშნეს. ზემოხსენებული ციხეების მოძიხნავე ბორის ციხეზე დროსა აღმართეს. რადგანაც მისმა მოსახლეობამ წინააღმდეგობა გაუწია და მედგარად დაუხედა, მათი უმრავლესობა ხელით აკეწეს. ვინც გა-

დარჩა დაატყვევეს. ციხის დასაცავად საეპარქიო ქარი დანიშნეს. იგი ზაზა ბაზნებიტა და რიგი იარაღით იქნა გამოგრებული. ამ დროს ოდიშის მფლობელმა დიდიანმაყ სერასქერს მორჩილება გამოუცხადა და, გარდა იმისა, პირობა მისცა, რომ მას ქარისთვის საჭირო სურსათ-სანოვით დაეჭირებოდა. ამის შემდეგ ძღვევამოსილმა ლაშქარმა ქართველების საშებრო და დასაყრდენი სიანხოჲ ციხეც დაიპყრო. მისი დაცვა არიკ-ბაშის მეფედ დანიშნულ თეიმურაზს მიანდეს. იმ მიდამოების მოსახლეობა, უბედურ სოლომონს¹⁰ რომ ემორჩილებოდა, ახლა თეიმურაზს დაექვემდებარა და ამით ოსმალთა ძღვევამოსილი ლაშქრისაგან განადგურებას გადაარჩა იმ ბედნიერ წელს ამ გამარჯვებით დაქაყოფილდნენ. იმ განაფხულზე ქართველებისათვის გამანადგურებელი ძალის კელავ საზენებლად დაპყრობილი მიდამოები საზამთრო სადგომებად აირჩიეს. ზემოხსენებულმა სერასქერმა სტამბოლს მოახსენა, რომ ეს ადგილები გამოსაზამთრებლად იქნა არჩეული. იქიდან მოწონებისა და დასტურის პასუხი მოვიდა და იმ მხარეებში დანიშნობის შესახებ ნებართვის შემცველი სახელმწიფოს დიდებული ბრძანება გაიგზავნა.

განაფხულის დადგომისთანავე სერასქერ ფაშა საზამთრო სადგომიდან გამოვიდა და სალაშქროდ დაიძრა. ბაღდადის¹¹ ციხის წინ ბანაჯი გაშალეს და ლაშქრის მეთაურებთან ბქობა გამართეს. ციხეც დასვეს იმის შესახებ, თუ რომელ მხარეს იქნებოდა უფრო სასარგებლო ლაშქრობა. რიდიწყა მათი აზრი შეიტყვეს. მიზნდნენ, რომ საქართველოს გამგებლის სოლომონის მიერ მტკიცედ გამოგრებული სვერის ციხის აღება და დაპყრობა დამოკიდებული იყო მისი ამჟამინდელი ყაზალების განადგურებასა და დამორჩილებაზე. მხედართმთავრებმა ერთსულოვნება და შეთანხმებულობა გამოამჟღავნეს და პირდაპირ ზემოხსენებულ ციხისკენ გაემართნენ. მგზავრობის დროს, ენც ზემოხსენებულ ყაზალებს ემორჩილებოდა, მათი სახლები დასწვეს, მათი ქალები და ბავშვები დაატყვევეს. დამორჩილებულებს კარგად მოექცნენ. ზემოხსენებულ ციხეს მიიღწიეს. რადგანაც იმდენი დაბრკოლება შეექმნათ, რომლის წარმოდგენა და გაძლება შეუძლებელი იყო. მიენდნენ მაღალ ალაჰს. შეუდგნენ მისი ალყის შემორტყმას და სესაფერის ადგილებში ზარბაზნები დააწყვეს და რაც შეიძლებოდა, სახელმწიფოს ძლიერება გამოაჩინეს. ყოველი მხრიდან იარაღი მოქმედებდა და ყოველი კუთხიდან საბრძოლო ცეცხლი იფრქვეოდა. განუწყვეტელი გარემოცვის 29-ე დღეს დასრულების ბმები გაიძმა. მათი დამორჩილების თხოვნა-ვედრება მიღებულ იქნა. ხსენებულ ციხე¹² ახალ მეფეს თეიმურაზს ჩაბარდა და მის დასაცავად საქურვლის შევსების შემდეგ ძღვევამოსილი ქარის დასახვენებელი ადგილი ქუთაისის ციხე გახდა. ქართველების მეთაურები ზემოხსენებულ ციხიდან ერთი საათის სავალ ადგილზე იყვნენ შეკრებილი. მათ ითხოვეს, რომ თავიანთი სურვილების გასაცნობად ოსმალთა ქარის მხრიდან რამდენიმე პირი მოსულიყო. სერასქერ ფაშამაც ქარში მყოფი მისი უდიდებულესობის ხელმწიფის კარის ქეთხუდა¹³ იბრაჰიმ ალა, მისი ქეთხუდა, კაფუქი ბაში ქაჯი მუქმედ ბეგი, ლაშქრის ყადი ისმაილ ეფენდი და ლაშქრის ალა¹⁴ გააგზავნა. მათ ზემოხსენებულთა მაღალი შეთანხმების თანახმად მორჩილების უღელი დაიდგეს და განაცხადეს, რომ უარს ამბობენ წინააღმდეგობასა და შებრძოლებაზე. აქამდე მათ მიერ ჩადენილი შეუფერებელი საქციელის მიზეზი იყო ის, რომ არამტკიცე ხასიათის სოლომონის ძალიან მკაცრმა მოქცევამ შეასუსტა მისი და აღნიშნულის გაქცევამ უკვე საშარობა ააშორა მათ.

აუ გვეპატიება დანაშაული, ყველანი ოსმალეთის სახელმწიფოს ერთგულ
 მონები (ვიქნებით) და მორჩილებიდან არ გამოვალთ. სოლომონის ხვეწს
 ქვეყანაში გამოტარება შეუძლებელია. მაგრამ იმისათვის, რომ სახელმწი-
 ფოს არსებულ წესრიგს ვეყრდნობოდეთ, დაპყრობილი სვერის ციხე აქედ
 მფლობელს მიეცეს. ხოლო ისლამის ქარი აქედან როცა გაბრუნდება, ზემო-
 ხსენებულის (სოლომონის — ნ. შ.) რომელიმე ადგილიდან გამოჩენა შესაძ-
 ლებელია და მაშინ თავს დავესხვებით. მაგრამ რადგანაც აუცილებელი და
 საჭირო იქნება ჩვენთვის ოსმალეთის სახელმწიფო ქარის დახმარება, ცხადია,
 მხოლოდ ამ საქმისათვის ჟანიკის (ქანეთის — ნ. შ.) საფინანსო მოხელე ქი-
 ჯი ალი ბეგი გარკვეული რაოდენობის ქართ ქუთაისში გამოსაზამთრებლად
 თუ დანიშნება, აშკარაა, რომ ეს იქნება ჩვენი ძალების განმტკიცების მიზე-
 ზი. ამ თხოვნათა შესატყობინებლად თავიანთ წარმომადგენლად მღვდელთ-
 მთავარი — კათალიკოსი გააგზავნეს და იქ გამართულ საჯარებულოსა და ყვე-
 ლას წინაშე ზემოხსენებულმა მღვდელმა მორჩილება განაცხადა. სათითაოდ
 თახხმობა მოახსენეს ლაშქრის მეთაურებმა მოწონებით იხებეს მათი თხოვ-
 ნის დაკმაყოფილება. ხსენებული ციხე ახალ მეფეს ჩააბარეს და მათ მიერ
 ნაყისრი ვალდებულებების შემცველი ხელწერილები გადასცეს. იმისათვის,
 რომ ნდობა ყოფილიყო, ხსენებულ მეფეს საწინდრად მძევლები მისცეს. იმა-
 თაც გულის დასაჯერებლად თავისი ხალხი და ოჯახები ქუთაისის ციხეში მო-
 ათავსეს. ზემოხსენებულნი ჟანიკისა და ტრაპიზონის სამოთხ ათასამდე ქა-
 რით ქუთაისის ციხეში გამოსაზამთრებლად გაიხრდნენ. ხოლო სერასქერ ფა-
 შა კი თავისი საგამგეო ახალციხის მხარისკენ გაემგზავრა. ზემოხსენებული
 ხელწერილები კაფუჩიების ქეთხუდას იბრაჰიმ აღას გადაეცა და ოსმალეთის
 მაღალ სახელმწიფოში გაიგზავნა. სერასქერს შეატყობინეს, რომ სოლომო-
 ნის ცხოვრება საქართველოში წესრიგის დარღვევის სრული საფუძველი
 გახდება და ამიტომ ფადინაჰის კატეგორიული სურვილია ზემოხსენებულის
 რამენაირად ხელში ჩაგდება. ასეთი წესრიგი და ვითარება ჟერჯერობით მო-
 წონებულ იქნა.

ათასთავალოს ყოფილი მფლობელი სოლომონის მორჩილება

საქართველოს ქვეყანაში მდებარე ზოგიერთ ციხეს განადგურებისაკენ
 ჰქონდა პირი. მათ შესაკეთებლად და გასამეგრებლად ჩილდირის ვალიმ თავ-
 ვისი ქეთხუდა და დამორჩილებული ქვეყნიდან ზოგიერთები იმ მხარეს და-
 ნიშნა. როდესაც დანიშნული პირები ბაღდადჯიკის ციხეში ჩავიდნენ, სო-
 ლომონი, რომელიც ადრე პირმოთნეობითა და ორგულობით მოქმედებდა და
 აღმართავდა ხოლმე იქანყებისა და განხეთქილების ალამს, ზემოხსენებუ-
 ლებთან მოვიდა. (მას განუმარტეს) თქვენი წინაპრები ოსმალეთის სახელ-
 მწიფოს მონები იყვნენ და ჩვენს ხალხთან კეთილშობილი, მოკრძალებული
 დამოკიდებულება ჰქონდათ. დანაშაული, რომელიც მას მიეწერებოდა,
 ჩილდირის ვალის, მოკლული ვეზირის აჰმედ ფაშას პირადი ინტერესებიდან
 გამოდიოდა და ცილისწამება იყო. როგორც ადრე იყო, საქართველოს ხელი-
 სუფლებასთან სიამტკბილობა და წყალობა გამოავლინეს. ისევე, როგორც წი-
 ნათ არ იყვნენ წინააღმდეგნი ტყვეთა ყიდვა-გაყიდვისა. ახლაც განაცხადეს
 და შეატყობინეს, რომ კლავ ნებას დაჰყვებიან. კათალიკოსად წოდებუ-
 ლი პერი მიზნად ისახავს საქართველოს ქვეშევრდომთა გზიდან აცდენას და

ფრანგულ რელიგიურ წეს-ჩვეულებებზე გადაყვანას. ის თავისი მხრიდან შარ, რეულ მხარეს იქნა განდევნილი. ზემოხსენებულმა მსახურებმა მოწინააღმდეგე ბერათი განააზღვრეს და ხსენებულ ვეზირს აცნობეს, რომ (საქირაჟ) ჰეფტაჟი ციხის დანგრევა, ანდა ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ მისი დატოვება (ანუ დატოვება) ძალით დაპყრობა. ქვეყანაში აჯანყების გამო მოსახლეობას ძალით არ შესწევს. რომ სარწმუნოების წესები შეასრულოს. ამიტომ ვალდებულედა უნდა იქნას განმარტებული, რომ მევალებმა არ შეაწუხონ. მანაც ეს მუხლი ეველასთან განიხილა. სახელმწიფო ქალანთარების¹⁵ მიერ მოწონებული ეს მუხლი მოახსენეს ოსმალეთის კარს. სვერის ციხე მოთხარეს. ხსენებულ მღვდელს ტყბილი ენით ციხეში ჩასვეს. დანარჩენი მოთხოვნები დააყვარფილეს. საქართველოს ხელისუფლებს, როგორც წინათ იყო, ისეთივე უფლებები ებოძათ და განეკუთვნათ. მაღალღირსეული ბერათი მათ ხელზე მიეცათ.

შენიშვნები

1. ახალციხის საგვარეულო — იგულისხმება სამცხე-საათაბაგოს ისტორიული გამგებლების ჯაყვლების საგვარეულო. რომლებიც სულთნის ბელაუფლებისაგან მინიჭებული გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ და საუკუნეთა მანძილზე ჩილდირის ვილაიეთს ანუ ახალციხის საფაშოს სათავეში ედგნენ.

2. კაფუჯი ბაში — كافي باشي — სასახლის დამცველ მეარეთა მეთაური. კაფუჯიების რაზმის რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით კაფუჯი-ბაშის ვალდებულედაც შეიცვალა, მას სამხედრო საქმეებზე დაეკისრა XVIII საუკუნისათვის მათი რიცხვი 150 კაცს აღწევდა. მათ მოვალეობას შეადგენდა უცხოელი ელჩებოა გაცილება, სახელმწიფოს უმაღლესი მოხელეების სხვადასხვა დავალებების შესრულება.

3. მოსკოვის ტომი — იგულისხმება რუსეთი.

4. შიღან — شېگان — სამწესბაროდ ვერ მოვახერხეთ ამ გეოგრაფიული პუნქტის მდებარეობის დადგენა. ცხადია, რომ იგი საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიაა.

5. სერას ქერი — سرعسر — მთავარსარდალი ლაშქრობის დროს. ჩვეულებრივ ეს თანამდებობა ლაშქრობის დროს ებოძებოდა დიდ ვეზირს ანდა რომელიმე პროვინციის გამგებელს — ბეგლარბეგს.

6. ბორის ციხე — დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ორჯონიკიძის რაიონის კიკნის სასოფლო საბჭოში შემავალი ტერიტორიაა. (იხ. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. თბ. 1966, გვ. 79).

7. საუჯრადღებოა, რომ სამეგრელოს აღსანიშნავად ოსმალურ წყაროებში ყველგან გვხვდება „დადიან“ ანდა „მეგრელ ჰაქიში“, ვასიფის თხზულებებში კი ოდნე იხსენიება.

8. სიანჩოს ციხე — شېگان — ჩემში - ზადე მუსტაფა ჩემშიდის ისტორიაში სიანჩო იკითხება საბანჯოდ. (شېگان) იხ. Çeşmi Zade Mustafa Resid, Çeşmi-Zade Tarihi ... გვ. 6. ორივე აშკარად დამახინჯებული ფორმაა საჩინოსო, ოსმალთა ისტორიკოსების ალბათ საჩინოს ციხე აქვთ მხედველობაში. შ. ბურჯა-

ნადის აზრით, საჩინოს ციხეში სებეკას (იხე იგულისხმება, (შ. ბუჯაჩაძე, სოლომონ I მეფობის პირველი პერიოდი (1752 - 1766 წწ.), თსუ შრომები, ტ. 41, თბ., 1950, გვ. 97). საჩინო და სებეკა ერთმანეთის გვერდითაა აღნიშნული ივ. ჯავახიშვილის რედაქციით 1923 წელს შედგენილ საქართველოს ისტორიულ რუკაზე. საქართველოს დღევანდელ ადმინისტრაციულ დაყოფაში საჩინო არ არის აღნიშნული.

9. იგულისხმება სოლომონ I ბიძაშვილი თეიმურაზ შამუკას ძე. იმერეთის სამეფო ტახტის მამიებელი ბატონიშვილი, რომელიც 1764 წელს იმერეთიდან ახალციხეს გაიქცა და ოსმალთა ხელისუფლებას დახმარება სთხოვა სოლომონის წინააღმდეგ. სულთანმა მას ჭარი გამოაყოლა და იმერეთის წინააღმდეგ გამოილაშქრა. სწორედ ეს ლაშქრობა აქვს აღწერილი ვასიფს.

10. იმერეთის მეფე სოლომონ I (1752--1784).

11. ბაღდადჩიკი — იგულისხმება ბაღდადის ციხე. ოსმალთა ისტორიკოსმა შისტეის ცნობილი დიდი ქალაქის ბაღდადისაგან განსასხვავებლად საქართველოს ბაღდადს ბაღდადჩიკი უწოდა.

12. შართალია. სვერის ციხის აღების თარიღი ოსმალთა ისტორიკოსს არა აქვს მითითებული, მაგრამ ქართულ დოკუმენტურ წყაროებში იგი ზუსტადაა აღნიშნული. „1766 წელს სვერი აართვეს სოლომონს ოსმალთ, გასულს ენკენისთვეს (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი A 632(813)). ქრისტეს აქეთათას შვიდას სამოცდა ექუსს სვერი აიღეს ოსმალთ და მეფე სოლომონ გადააგდეს“. კ. ყველოძის საბ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. Q 117, მინაწერი 14 (XVII ს. მეტაფრასის ფარგლებში).

13. ქეთხუდა — كته خدو სამხედრო და სამოქალაქო მოხელე. ამ ჩინს ატარებდნენ განსაკუთრებული დავალების მქონე მოხელეები, რომლებიც ქეთხუდა ბეის განკარგულებაში შედიოდნენ. ხოლო ქეთხუდა ბეი იყო დიდვეზირის თანაშემწე.

14. ალა — სხვადასხვა კატეგორიის სასახლის მსახურთა მეთაურების წოდება. სასახლის კარზე არსებობდა ალას ორი კატეგორია: შინაგანი საქმეების ალა და საგარეო საქმეების ალა. შინაგანი საქმეების ალა იყო: კაფუ ქელხუდასი, ხაზინადაზ-ბაში, ქილარჯი-ბაში, სასახლის ალა, ქალების ალა და სხვა. საგარეო საქმეების ალა — იანიხარათა ალა და მისდამი დაქვემდებარებული ცალკეული კატეგორიების მეთაურები, სიფაჰიების ალა, სილაჰდარების ალა და სხვა.

15. ქალანთარი — ეს თანამდებობა ოსმალურ ადმინისტრაციულ და სამოხელეო სისტემაში არ გვხვდება. ის უიზილბაშური რიგის სამოხელეო თანამდებობა იყო. XVIII საუკუნეში ქართლში უიზილბაშობის დროს ჩნდება ეს თანამდებობა და მის მოსპობასთან ერთად ქრება. ჰაპუნა ორბელიანი შენიშნავს, რომ „ვეზირი, მელიქი ქალაქისა და ქალანთარი, ესენიც დაბარებულნი იყვნეს და თან გაყვნეს, ჩავიდნენ, მიართვეს დავთარი და აცნობეს საქმე ქვეყნისა. დღეის აქამდისონ ქართლში ქალანთარი არ ყოფილიყო, ახლა ამ ხელმწიფემ გაარიგა: ეს იყო ციციშვილი, ძე ედიშერისა, რომელი ისპაანს გათათრებულყო და ეს ქალანთარი შერულობეგ იქ გაზრდილიყო და ამ ხელმწიფისათვის ბევრი ემსახურა, სამსახურის სანაცვლოდ ეს წყალობა უყო, სამოცი თუმანი ჯამაგირი განუწესა და ქართლის ქალანთარობა მისცა“. („ქართლის ცხოვრება“, დ. ჩუბინაშვილის გა-

მოცემ. ნაწ. II. სპ. 1854, გვ. 359) ქალაქთაშის შესახებ იხ. ივ. სუბგუ-
ლაძე. საქართველოს სახელმწიფო და სამართლებრივი ისტორიისათვის, თბ., 1952:
გვ. 128—229. Месхиа, Ш. А. Города и городской строй феодальной Грузии:
эп. XVII—XVIII вв. Тб., 1959, гл. 269.

احوال والى جلد

اینت جلدده حکمران اولان وزیر الحاج احمد پاشای الاصل اخصه اوجاق
زاده لرندن اولمق حسیله مسنده طالع پنج روزمی مقتضاسنجه بر مدنبرو وزارنه
جلدر اناگنه والی و سفار امور اهالی اولمشیدی کلان الانسان لطفی ان راه
استغنی* نهی صریحی اوزره تقادم زمان ایله همیان اقتداری نقود بیشمار ایله ملتان
ویم حرص وطمعی یومافیوما خروشان اولوب سمت طیبانه عزیمت و عواقب اموری
ملاحظدن غفلت ایدوب توسیع دائره و جلب اموال متکاتره ضمننده لزکی اشقیلیله
مخابره و کورجستانه طائفیدا بلیهچکنی مشاوره ایدوب بو عزیمت فاسده لزکی طاقمسنل
هواسنه موافقی و مراملرینه من کل الوجوه مطابق کلوب مشارایی امر اوتوبیل
و بعض مدمات مموهه ایله اوساد و تغذیل ایلدیلر کورجستان اهالیسی آمد بعد
دولت علیهنگ رعایسی مندهسنده اولوب حمایت و صیانتلری و بلاسب رنجیده اولملری
خلاف رضای پادشاه جم حشم ایکن مشارایه عسکر کثیف ایله اوزرلرینه حرکت
و مقاتله ایله وافر نعره تلف و اخذت ایلوب بوکارنا هنجاردن فراغت ایلسی
هرچند طرفنه اشارت اولندیه دخی بعض علل غیرموجه ایراد و کون یگون آتش
فتنه ایفاد ایلدیکی معلوم شهریار و انزاد اولمله ایالت جلدردن عزل و ساها دیاربکر
والیسی وزیر ابراهیم پاشا یرینه نقل اولنوب معزول مشارایه بر منصب ویرلمک
تصمیم و اناطولی به چلمسی طرفنه نهیم اولنمشیدی ناچار امر عالی به امتثال و
احسنه دن رفع انفال ایدوب بر قاچ قوناق انفالنده استعمار انجامکار ایله نرک کار
و بارور کیجه اوچ آدم ایله مطیعان فرار اولدیگی مباشری اولان قپوجی باشی
اندال حمد اغیه معلوم اولدنده اطراف اکنانه آدمیر ارسال و مشارایی طونوب فی
الحال استیصال و سر مقطوعی آستانه به ایصال ایلدی

111—112. ج. I. 10

مقدمه سفر کورجستان

سفر طاقمسی کیلان و دربند و طیبان مناسبتلریله کورجستانه مجاور اولوب
احمد مذهب و نوااق مشرب ایله میانلرنده ائتلاف پیدا و مناعت امکانه محکومیتدن
و ارسته اولمه عنت اقوی اولدیغی انبا و اقتضا ایلدیکی حالده عسکر و اقجه و
مهمات ایله اعانت ایدمچکلرینی و عد ایدوب بو سرلازم الکنمانی میانلرنده اخفا
ایتملر ایدی کورجستان خلقی مقولونک کلام و خیم الانجانی حض نصیحت عد
ایدوب رفته رفته جدر وایلرینه دبانبو بهرسک و بره کلدکلرینی گاه نلاص و گاه تمام
و بره نرک معطله به مباشرت و کیدرک بالکلبه و بر کولرینی قطع ایله اظهار خصومت و
خاخ ریفه اطاعت ایدکلری سرحدلردن کلان تحریر اتدن مستیان اولوب ارعام
نوللری ضمننده طرابزون والیسی وزیر عبدالرحمن پاشا اوزرلرینه عسکر کثیف
یله تمیین اولنمشیدی مشارایه کورجستانه واردنده اهالی صعب السلوک جبال شاهقانه

فرار و جوق کبچمدن ایام شتا دخی حلول ایدوب مشارایه عودته قرار و هزار
 صوبت و مشغله چلدر ایالتنه چقوب کورجیلرک عقبگیریری و شتاتک شدتی عسکر
 ایالتنه چلدری تضایق و نفاز و برمنیدی اولکة مزبورنهک پذیرفته حسن نظام اولمسی
 مطرب شهریار انام اولدبندن چادر والیسی وزیر حسن باشاتک اوحوالی امورنه
 وقوف و اطلاعی سائرذن زیاده و سرعسکرکی اتفاق ارا ایله قرار داده اولوب
 منشور سرعسگری طوفنه ارسال و معیتنه مأمور اولهحق عساکر و دختر دخی
 ترتیب اولنوب اولبهارده صافقه مزبوره اوزربنه سوق اجمال رجیل ایلمسی دیگر امر
 عالمیده تفصیل و اجمال اولندی.

171. 23. 1. ع.

حرکت سرعسکر کورجستان

بوندن اقدم بعضی مسوولاته مساعدده اولندیهی حائده کورجستان نظامنی التزام
 ابدن چلدر والیسی وزیر حسن باشاتک کللمسند عیانه مساعدده و منشور سرعسگری
 طرفنه فرستاده اولندیهی بالاده افاده اولنمشیدی معیتنه فریب اولنن پیاده و سواری
 و طریزون و سیواسی ایالتلری عساکرینه چلدردن حرکت کورجستان سمتنه تحریک
 اعلام نصرت و کورجستانک جانب شمالسندده واقع کورل اولکهنه توجه و عزیمت
 ایدوب بر ایکی قلعه اهالیسی داد خواه و طالب عفوکنده اولملریله استیمالیری قبول
 و ضابطی فرار ایله استخلاص نفس ذلول و کوچک برادری برینه موصول قیلندی
 ذکر اولنان قلعهلره محاور بوری قلعهسنه رأیت کئش هبیت و اهالیسی اظهار روی
 درشتی و مخالفت ابلدکلرندن اکثری طعمهشیر شمبیر و باقیسی برده و اسیر اولوب قلعه
 محافظهسنه عسکر و افی تعیین و طوب و مض ادوات ایله تحصین اولندی بو خلالده
 اودیش متصرفی دادیان دجی سربرده طوع و انقباد اونوب اردویه ذخیره و زادایله
 امداد ایتمک شرطنی اتقاد ابلدی بوندن صکره کورجیلرک اعتماد و استناد ابلدکلری
 سیانچو قلعهسی دخی عنوة مسخر عسکر ظفر رهبر اولوب محافظهسنه آجق باش
 ملکی نصب اولنان طهمورث تعیین و او حوالیده واقع اولوب سلومان بد پیمانہ مطیع
 قرانک اهالیسی دخی طهمورثه تبعیت ایله قهر عسکردن تأمین اولندی بوسال فر
 خفانده بو فتوحات ایله اکفا و اولبهارده بنه کورجیلراره اراده قوت قاهره دولت ایتمک
 قصد یله اوحوالی شتا اتخاذ اولنمق صوابنمای رؤسای عسکر ظفر انما اولدیغنی
 سر عسکر مشارایه در دولته عرض و انما ایدوب رأیی تصوب و استحسان و او
 طرفلرده قشلاق باینده رخصتی حلوی طرفنه ارسال امر جبل الشان قیلندی ایام
 ربیع حلولبله سرعسکر باشا مشادن نهضت و قیام و بنداد جق قلعهسی پیشکاهنده
 نصب خیام ایدوب رؤسای عسکر ایله فدح زناده مشورت و قنقی طرفه عزیمت نافع
 اولدیهی مشوالیله رایلرینه مراجعت ابلدکنده نظام کورجستان سلومانک مقل متین
 اتخاذ ایتدیکی سور قلعهسنک فتح و تسخیرنه و هواداری اولان اشقیاتک استیصال
 و تدمیرنه و ابته اولدیغنده رؤسای عساکر یکر بان و فاق اولدکلرندن قلعه
 مزبوره به طوغرو شقه کشای عزیمت و اثنای راهده شقی مزبوره اطاعت اوزره
 اولانلرک خانهلری احراق و اطفال و سوانلری سبی و استرقاق اولهرق و دائره
 اطاعته دخول ایدنلره نوازش و استمالک صورتی ارادت قیلنهرق قلعه مذکوربه واریلوب
 هر قدر مناعتی تمایان و قنقی خارج تصور و کمان ایسه دخی متوکلا علی الله

مملکت سرزمین به مباشرت و مناسب محللرده طوینر و خمیره لر و ضعیله عرض ایت و قوت
 صورت قیلنوت هر طرفدن اعمال ادوات ضرب و هر جانبندن اشغال نوایر حرب و
 مدت محاصره نیک یکر می طقوزنجی کونی برج حصارندن صدای الامان پیوستنه قیله
 آسمان اولوت استیمانلری اصفا و صورت نیازلری متقابک مجلای رضایلینوب قلعه
 مذکوره ملک جدید اولان طهورنه تسلیم و لوازم محفاظه سی تکمیل اولندقدن صکره
 کتاسی قلعه سی آرامگاه عسکر ظفر اکتناه اولدی سناید کورخیان قلعه مذکوره به
 بر ساعت محلده مجتمع اولوب مرامرینی افاده ایچون اردو مقینلرندن بر قاچ نفر
 کسه نیک ورودنی التماس ایتمه ریله سرعسکر پاشا دخی اردوه موجود کتخدای
 بواین حضرت شهبازی ابراهیم اغایی و کنخداسنی و قیوجی باشی الحاج محمد
 مکی و اردو قاضی اسماعیل افندی بی وارد و اغاسنی ارسال ایدوب سفورلر علی
 الاتفاق ربقه اطاعتی زیور کردن جان و ترک مخالفت و عصیان ایلدکلرین تقریر و
 مقدا صدور ایدن اطوار ناهموارلری سلومان بدکردارک پنجه قهرنده زبون اولملرندن
 نشات الندیکنی افاده ایله مسفورک فراری دفع محنور ایدوب جمله ز دولت علیه نیک
 بنده صداقتکاری بوز جرمز عفو بیوردیفی حالده دائره اطاعتندن خارج بره وضع
 قدم امره حال و سلومانی ستمیزه اوغراتیق عدیبالاحتمالدر انجق نظام مملکت مدار
 اولمق ایچون فتح اولنان سویر قلعه سی ملک جدیده ویریلوب عسکر اسلام دخی بو
 محلندن رجعت ایتدکلرنده مسفورک بر محلندن ظهوری محتمل اولوب اوزربنه وارلدنده
 بهر حال دولت علیه عسکر نیک معاونت و مظاهرتنه احتیاجمز بدیهی اولمظه مجرد بو
 معصحت ایچون جانیک محصلی الحاج علی بیگ بر مقدار عسکری ایله کوتا سده مشتایه
 تعیین اولندیفی حالده قوت ظهرمزه و استقرار نظاممزه باعث اوله جفی ظاهر در دیو
 بسط کلام و بو رجترینی آنها و اهام ایچون باش راهبری کوتا لکوزی جمله سی
 طرفلرندن توکیل وارنویه تسبیل ایلدکلرنده ترتیب دیوان و جمله وواجه سنده راهب
 سفور اطاعت و اقیادترین یکان تقریر و تفهیم و ارکان اردونک استنصواب و استحصانلر
 به نبارلرینه مساعدده و قلعه مذکوره ملک جدیده تسلیم و تعهد ایلدکلری امورک
 شریک قیودینی و حاوی یدلرندن قوی سندلر اخذ و لاجل الاعتماد ملک مسفور ره نلر
 ویردیله اولدخی اطمینان قلوب ایچون اهل و عیالکن کوتا س قلعه سینه رهن وضع
 ایدوب میر موسی الیه اوچ درت بیک قدر جانبک و طریزون عسکر یله کوتا س قلعه
 سنده فتلامق اوزره مکت و آرام و سرعسکر پاشا دخی مقر حکومتی اولان اخذ
 طرفته عطف زمام ایلدی سنیدات مرقومه قیو حیلر کنخداسی ابراهیم اغابه تسلیم و دولت
 علیه ارسال و سلومانک حیاتی شبرازه نظام کورجستانک انحلالنه عک نامه اوله جفی
 و بلی وجه کان مسفورک اله کتورلمسی مراد قطعی پادشاهی ایدوکی سرعسکر پاشا
 طرفته افاده و تبیین و ویردکلری نظام شمذیلک تصویب و تعیین اولندی

182-183. I. 83. 8

اطاعت سلومان حاکم سابق کورجستان

ممالک کورجستانده واقع بعضی فلاح خرابه مشرف اولوب تعمیر و ترمیمی
 ایچون چلدیر والیسی کنخداسنی و معینن ممالکندن بعضی کسه لری او طرفه تعیین
 ایتمشیدی مامورلر بغدادجفی قلعه سینه واردلریده مقدا کربوه کره وادی شناق و
 عام افراز میدان عصیان و شناق اولان سلومان مرقوملرک یانته کلوب اباعن جد دولت

علوٲك بندهسى و كرم و عتایتك شرمندهمسى اولوب حقنده اسناد اولنان تهمت جلدرد
بركسى مقبوله وزیر احمد پاشانك نفسانیت و سعیتندن نشئت ایلدیكنی افاده ایله
كماكان حكومت كورجستان ایله مظهر لطف و احسان اولمسنی رجا و اسلافی
گوندده حلزیمی اولدیگی وجهه اوزره بیع و شرای اسرابه مانع اولمیوب هر حالده
نقضیل رطفا اقلیه جكنی بیان و آنها و كورجستان رعایاسنی اضلال و افرنج ایینه
ادخال قصر ابدن کنالکوز نام راهب مملکتدن طردودیار عبدهیه نفی اولنوب و سویره
قلمسی هدم و باخود دولت علیه طرفندن محافظه اولنمق و باخود کندویه ضبط
ایتیرمك و اختلال مملکت حسیبه رعایا استیفای دینه قدرتیان اوله میوب مراتبه
صلیبه دابنلر طرفندن ازعاج اولنماق شروطنی نمید و برات عبودیتنی محدود
ایلدیكنی مأمورلر وزیر مشارالیه اشعار و اولدخی جمله ایله بو ماده بیی مشورت
ابدوب استصواب کلانتران مملکت ایله کیفیت در دولته عرض و اشارت اولندده
سویر قلمسی هدم و راهب مسفور حصن کیف قلمسنده حبس و سائر مسؤلاتنه
مساعده ایله كماكان حاکم كورجستان نصب اولنوب یدینه برات عالیشان احسان
اولندی

⊙. I. 83. 202—203.

Н. Н. ШЕНГЕЛИЯ

СВЕДЕНИЯ ОСМАНСКОГО ИСТОРИКА АХМЕДА ВАСЫФА О ГРУЗИИ

Резюме

Историческое сочинение османского историка XVIII века Ахмеда Васыфа (Mahasin-ül asar ve Nakayik-ül Ahbar. Прекрасные памятники и достоверные известия) является важным источником по истории Османской Империи и соседних с ней стран. В частности, в нём содержатся сведения и по истории Западной Грузии второй половины XVIII века. Ахмед Васыф описывает нашествие османского войска в Имеретинское царство в 1765—67 годах. Имется материал для освещения вопросов истории грузино-турецких взаимоотношений, об активных действиях Имеретинского царя Соломона I (1752—1784) против османов и др.

В статье опубликованы отрывки турецкого текста из сочинения Ахмеда Васыфа с грузинским переводом и комментариями.